დანართი No. 1

NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

"აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2025 წლის 23 აპრილი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2025 წლის 6 ივნისი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 8

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 8

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 17

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 23

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 28

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 38

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ [1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204426834
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ჰანდკე შტეფანი, დრეზდენის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი, გერმანია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ფავლენიშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ხვიჩა ბერიძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო პატარაია, შპს - ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანჟელა აბულაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და "დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Eastern European Foreign Policy and Security
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები, 0312
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

---

უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ - ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

"აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ და ანიჭებს პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიურ ხარისხს. სწავლების ენაა ქართული. პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის (ECTS) შესაბამისად, რომელიც ჯამში მოიცავს 120 კრედიტს ორი აკადემიური წლის (ოთხი სემესტრის) განმავლობაში. სასწავლო გეგმა მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს, ასევე კვლევით კომპონენტს, მათ შორის 18 კრედიტიან სამაგისტრო ნაშრომს. პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებს მისცეს აღმოსავლეთ ევროპის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის დინამიკის დეტალური ცოდნა, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება თანამედროვე გეოპოლიტიკურ გამოწვევებზე, სტრატეგიულ კომუნიკაციაზე და რეგიონული უსაფრთხოების საფრთხეებზე. ასევე, პროგრამის მიზანია მოამზადოს კურსდამთავრებულები დიპლომატიურ, თავდაცვის, პოლიტიკის ანალიზის, საერთაშორისო ორგანიზაციებში და აკადემიურ სფეროებში დასაქმებისათვის.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 23 აპრილს. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებები ჩაატარა, მათ შორის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, პროგრამის მმართველ გუნდთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, მოწვეულ ლექტორებს და მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს. გასაუბრებების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა პროგრამის განხორციელება, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და გადაამოწმა თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შერჩეული სილაბუსები და სტუდენტების ნამუშევრები. ასევე, დაათვალიერა სასწავლო რესურსები და სასწავლო ინფრასტრუქტურა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა ზოგადად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტების უმეტესობას. მისი მიზნები კარგად არის განსაზღვრული, შეესაბამება ინსტიტუციურ და ეროვნულ პრიორიტეტებს და ასახავს შრომის ბაზარზე ძლიერ ორიენტაციას. სწავლის შედეგები სათანადოდ არის ჩამოყალიბებული და განაწილებულია სასწავლო გეგმაში, რომლებიც მხარდაჭერილია შეფასების მკაფიო კრიტერიუმებით და თანმიმდევრული შეფასების მექანიზმებით. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და მოიცავს დარგობრივი თანამედროვე საკითხების ფართო სპექტრს. თუმცა, სასწავლო გეგმას აკლია პოლიტიკის მეცნიერების საფუძვლების კომპონენტი, რაც ხელს უშლის სტუდენტების უნარს, კრიტიკულად შეაფასონ რეგიონული პოლიტიკური მოვლენები სისტემურ, შედარებით ჭრილში. აღნიშნული ხარვეზი გავლენას ახდენს პროგრამის საერთო თეორიულ ბალანსზე. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, სასწავლო გეგმას დაემატოს პოლიტიკური მეცნიერების სპეციალური

მოდული, რაც წარმოადგენს სრული შესაბამისობის პირობას. პროგრამას ჰყავს ერთგული აკადემიური პერსონალი, ითვალისწინებს მყარ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს და გააჩნია ადეკვატური მატერიალური და ციფრული რესურსები. უნივერსიტეტი ინარჩუნებს კონსტრუქციულ კავშირებს გარე დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის დამსაქმებლებთან და ავლენს პროგრამის გაუმჯობესების სურვილს.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**
  - სასურველია კურსის "აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემების" გაუმჯობესება და გაძლიერება იმ თემების უფრო ღრმად გაშუქებით, როგორიცაა საარჩევნო და პარტიული სისტემები, რეჟიმის ტიპოლოგიები და სახელმწიფო სტრუქტურისა და მმართველობის ძირითადი თეორიული ჩარჩოები.

  - სასურველია, არჩევით კომპონენტს დაემატოს თემების კლასტერი (მაგალითად, თავდაცვა და სტრატეგია, ევროპული ინტეგრაცია, პოლიტიკური ინსტიტუტები) მიმართულების მითითებით. აღნიშნული სტუდენტებს მისცემს მკაფიო მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ შეუსაბამონ არჩევითი კურსები კარიერულ მიზნებს და პროგრამის სწავლის შედეგებს.

  - სასურველია, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა გადადგას მიზანმიმართული ნაბიჯები არსებული სტიპენდიების პოლიტიკის შესახებ სტუდენტების ცნობიერების ასამაღლებლად. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია სტიპენდიების სტრუქტურირებული სისტემა, ხელმისაწვდომი და მკაფიო ინფორმაციის ნაკლებობამ ზღუდავს სტუდენტების ჩართულობას და ფინანსური მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობას.

  - აკადემიურმა პერსონალმა უნდა განავითაროს უფრო ძლიერი აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილება აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის მიმართულებით.

  - პროგრამის ეფექტური განვითარების უზრუნველსაყოფად, კურსების განმახორციელებელი პერსონალი ან მოწვეული პერსონალი უნდა ფლობდეს დოქტორის ხარისხს, იყოს დოქტორანტი ან სულ მცირე დარგის ექსპერტი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულებით დასაქმებისთვის მოთხოვნილი და შესაბამისი უნარების განვითარებას. უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მაგისტრანტების ცოდნა და გამოცდილება მნიშვნელოვნად შეესაბამება პოლიტიკის და საზოგადოების საჭიროებებს.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

2025 წლის 29 მაისით დათარიღებული წერილობითი განცხადებით სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა უპასუხა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას, რომელიც 2025 წლის 13 მაისის აკრედიტაციის დასკვნის პროექტში იყო გაცემული და ითვალისწინებდა ცალკე პოლიტოლოგიური მოდულის შემოტანას პროგრამის თეორიული საფუძვლების გასაძლიერებლად. უნივერსიტეტის მტკიცებით პოლიტოლოგიის ძირითადი თემები - როგორიცაა რეჟიმის ტიპოლოგიები, საარჩევნო სისტემები და სახელმწიფო სტრუქტურები - უკვე განიხილება არსებულ კურსებში, განსაკუთრებით "აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებში" და "აღმოსავლეთ ევროპის თანამედროვე პოლიტიკურ ისტორიაში." ინსტიტუტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ცალკე მოდულის შემოტანამ შესაძლოა გამოიწვიოს გამეორება და საფრთხე შეუქმნას პროგრამის თემატურ ფოკუსს.

უნივერსიტეტის არგუმენტაციის განხილვის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია მათი ახსნა ნაწილობრივ დამაჯერებლად და რეკომენდაციის თავდაპირველი ვერსიის გადახედვა გადაწყვიტა. ახალი მოდულის მოთხოვნის ნაცვლად, ჯგუფი გასცემს რეკომენდაციას არსებული კურსის "აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემების" გაუმჯობესებისა და გაძლიერების შესახებ საარჩევნო და პარტიული სისტემების, რეჟიმის ტიპოლოგიებისა და სახელმწიფო სტრუქტურისა და მმართველობის ძირითადი თეორიული ჩარჩოების უფრო ღრმა გაშუქების ჩართვით.

ეს ცვლილება ასახავს ნაწილობრივ თანხმობას უნივერსიტეტის პოზიციასთან და მიზნად ისახავს პროგრამის კონცეპტუალური მთლიანობის გაუმჯობესებას, მისი ამჟამინდელი კონცეფციის პატივისცემის პირობებში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

არ ეხება

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

"აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების" სამაგისტრო პროგრამა სპეციალურად შეიქმნა აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში თანამედროვე გეოპოლიტიკური, უსაფრთხოების და პოლიტიკის შემუშავების გამოწვევების გადასაჭრელად. პროგრამის მიზნებში ხაზგასმულია, რომ პროგრამა კურსდამთავრებულებს აძლევს რეგიონული პოლიტიკის, უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის სტრატეგიების შესახებ მოწინავე, დისციპლინათაშორის ცოდნას, ასევე ძლიერ კვლევით შესაძლებლობებს. აღნიშნული მიზნები ჩამოყალიბებულია საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (მე-7 დონე) შესაბამისად და მორგებულია დიპლომატიის, უსაფრთხოების პოლიტიკის, სტრატეგიული კომუნიკაციების და აკადემიური კვლევის მიმართულებით პროფესიონალების მზარდ მოთხოვნაზე.

პროგრამის მიზნები შემუშავდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რომელიც მოიცავდა აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, საჯარო მოხელეებთან და დამსაქმებლებთან კონსულტაციებს. კონსულტაციების საფუძველზე სასწავლო გეგმაში განხორციელდა არსებითი ცვლილებები, როგორიცაა აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკური ეკონომიკის კურსის გადატანა არჩევითიდან სავალდებულო კომპონენტში. გარდა ამისა, მიზნებში ასახულია სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სტრატეგიული პრიორიტეტები, როგორიცაა ადგილობრივი და გლობალური შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება აკადემიურ წარმატებასთან და საერთაშორისო ჩართულობასთან მიმართებით.

პროგრამა შეესაბამება აღნიშნული სტანდარტის მოთხოვნებს. მიზნები მკაფიოა და რეალისტური, შეესაბამება დაწესებულების მისიას და შრომის ბაზრის მოლოდინებს. მიზნები დაკავშირებულია აკადემიურ სწავლებასთან და პროფესიულ გამოყენებასთან. რეგიონული სპეციალიზაციის და რეალური პოლიტიკის გამოწვევებზე სტრატეგიული ორიენტაცია აძლიერებს პროგრამის აკადემიურ და საზოგადოებრივ შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა და მისიის შესაბამისობა;
- თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის პროცესის შესახებ (პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები);
- სწავლის შედეგების მიზნებთან შესაბამისობის მატრიცა;
- პროგრამის დაგეგმვასთან დაკავშირებული საბჭოს სხდომების ოქმები (აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში);
- გასაუბრებები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.1 პროგრამის მიზნები	**x**	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია პროგრამის ძირითადი მიზნების მხარდასაჭერად. ისინი დაჯგუფებულია ცოდნის და გაცნობიერების, უნარების და პასუხისმგებლობის / ავტონომიურობის სფეროების მიხედვით და შეესაბამება მე-7 დონის კვალიფიკაციას. კურსდამთავრებულებმა უნდა გამოავლინონ აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკური და უსაფრთხოების სისტემების სიღრმისეული ცოდნა, გააანალიზონ თანამედროვე მოვლენები დისციპლინათაშორის ჭრილში, ჩაატარონ დამოუკიდებელი კვლევა და წარუდგინონ შედეგები სხვადასხვა აუდიტორიას, მათ შორის პოლიტიკის შემქმნელებს, აკადემიურ და სამოქალაქო საზოგადოებას.

სწავლის შედეგები მოიცავს რეგიონული შემთხვევების შესწავლას, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესების გაგებას, სამხედრო, კიბერ და ჰიბრიდული საფრთხეების ცოდნას და რეალური პოლიტიკის გამოწვევების შეფასების და მათზე რეაგირების უნარს. სასწავლო გეგმის მატრიცის მეშვეობით სწავლის შედეგები მკაფიოდ არის დაკავშირებული ცალკეულ მოდულებთან, რაც უზრუნველყოფს, რომ თითოეული კურსი ხელს უწყობს კურსდამთავრებულის საერთო კომპეტენციის განვითარებას. შეფასების სტრატეგიები შეესაბამება სწავლის შედეგებს და მოიცავს როგორც განმავითარებელ, ისე შემაჯამებელ შეფასების მეთოდებს, როგორიცაა ესეები, პოლიტიკის მოკლე მიმოხილვები, კვლევითი პროექტები და ზეპირი პრეზენტაციები.

პროგრამა შეესაბამება აღნიშნული სტანდარტის მოთხოვნებს. სწავლის შედეგები თანმიმდევრულია, სპეციფიკური და აკადემიურად მკაცრი. კურსის შინაარსთან და შეფასების მეთოდებთან შესაბამისობა აჩვენებს კარგად განსაზღვრულ საგანმანათლებლო პროგრამას. უნდა აღინიშნოს პროგრამის აქცენტი კრიტიკული და სტრატეგიული აზროვნების განვითარებაზე, რაც წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების ანალიზის მთავარ კომპეტენციას. სასწავლო გეგმაში სწავლის შედეგების განაწილება უზრუნველყოფს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სწავლებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო გეგმის რუკა, რომელიც თითოეულ კურსს აკავშირებს კონკრეტულ სწავლის შედეგებთან;
- სწავლის შედეგებთან პროგრამის მიზნების შესაბამისობის რუკა, რომელიც აჩვენებს სტრუქტურულ თანხვედრას;
- კურსების სილაბუსები მითითებული სწავლის შედეგებით და პროგრამის საერთო მიზნებთან შესაბამისობით;
- სწავლის შედეგების აღწერაში დისციპლინათაშორისი მიდგომების გამოყენება (მაგალითად, პოლიტიკური მეცნიერების, ეკონომიკის, კიბერუსაფრთხოების გათვალისწინება);
- გასაუბრებები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	**x**	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლის შედეგების შეფასება გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოში. სწავლის შედეგების მიღწევის ეფექტურობის შესაფასებლად გამოიყენება რაოდენობრივი სამიზნე ნიშნულები და თვისებრივი შეფასების ინსტრუმენტების კომბინაცია. პირდაპირი შეფასება ეფუძნება აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებს, როგორიცაა კურსის შედეგები, ნაშრომის ხარისხი და გამოცდების შედეგები, ხოლო არაპირდაპირი შეფასება ეყრდნობა სტუდენტების გამოკითხვებს, კურსდამთავრებულების უკუკავშირს და დამსაქმებლებთან კონსულტაციებს. სტუდენტების მოსწრების შეფასების მიზნით პროგრამაში გამოყენებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების შეფასების განაწილება, რაც ასევე უზრუნველყოფს იმ ტენდენციების გამოვლენას, რომლებიც მიუთითებენ სასწავლო გეგმის ან მეთოდოლოგიური კორექტირების საჭიროებაზე.

უკუკავშირის ციკლები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების შეფასებიდან შეგროვებული მონაცემების პირდაპირ ასახვას კურსის და პროგრამის განვითარებაში. აკადემიური საბჭოები რეგულარულად განიხილავენ სწავლის შედეგებს და მოსალოდნელი შედეგების ზღვრიდან

ნებისმიერი გადახრის შემთხვევაში მიიღება შესაბამისი ზომები. დაინტერესებული მხარეები, მათ შორის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და გარე შემფასებლები მონაწილეობენ შეფასების პროცესში, რაც ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გაუმჯობესების კულტურის დამკვიდრებას.

პროგრამა შეესაბამება აღნიშნული სტანდარტის მოთხოვნებს. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების არსებული მექანიზმები ყოვლისმომცველია და გათვალისწინებულია პროგრამის მართვის პროცესში. თვისებრივი და რაოდენობრივი ინსტრუმენტების გამოყენება იძლევა დეტალურ ინფორმაციას სტუდენტების მიღწევების შესახებ. შეფასების და განხილვების პერიოდულობა და შედეგებზე რეაგირება აჩვენებს კარგად ორგანიზებულ აკადემიურ მმართველობას. თუმცა, შესაძლებელია გაუმჯობესდეს გამჭვირვალობა სწავლის შედეგების ანალიზის მოკლე ანგარიშის და გაუმჯობესების ღონისძიებების გამოქვეყნებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლის შედეგების შეფასების ციკლის აღწერა (ყოველწლიური შეფასება, უკუკავშირი სასწავლო გეგმაში ცვლილებების განსახორციელებლად);
- დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ინსტრუმენტები: სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვები, დამსაქმებლებთან კონსულტაციები;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ყოველწლიური ანგარიშგების პროცედურები;
- გასაუბრებები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**x**	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

"აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების" სამაგისტრო პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის ECTS შესაბამისად, მოიცავს 120 კრედიტს და ხორციელდება ორი აკადემიური წლის (ოთხი სემესტრის) განმავლობაში. სასწავლო გეგმა დაყოფილია შემდეგნაირად:

- 96 კრედიტი სავალდებულო კურსები, მათ შორის კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი, 18 კრედიტი).
- 24 კრედიტი არჩევითი კურსები, რომლებიც შეიძლება შეირჩეს პროგრამისთვის განსაზღვრული კონკრეტული კურსების სიიდან ან უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან.

სასწავლო გეგმა ლოგიკურად არის დალაგებული და მოიცავს თეორიული საფუძვლების და პრაქტიკული პოლიტიკის ნაზავს. პირველი წელი ორიენტირებულია ძირითადი კომპეტენციების განვითარებაზე შემდეგი საგნების მეშვეობით:

- *აღმოსავლეთ ევროპის თანამედროვე პოლიტიკური ისტორია;*
- *აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემები;*
- *სამხედრო მზადყოფნა: კონცეფციები, არჩევანი, შედეგები;*
- *აკადემიური წერა მაგისტრანტებისთვის;*
- *კვლევის მეთოდები პოლიტიკურ მეცნიერებაში.*

მეორე წელს სასწავლო გეგმა მოიცავს სპეციალიზებულ და პოლიტიკაზე ორიენტირებულ მოდულებს:

- *რუსეთის საგარეო პოლიტიკა და აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოება;*
- *დიდი ძალების საგარეო პოლიტიკა და აღმოსავლეთ ევროპა;*
- *"რუხი ზონები" და საერთაშორისო უსაფრთხოების გამოწვევები;*
- *ეროვნული უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა და მართვა;*
- *კიბერუსაფრთხოება აღმოსავლეთ ევროპაში;*
- *სტრატეგიული კომუნიკაცია საგარეო პოლიტიკაში;*
- *აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკური ეკონომიკა;*
- *აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა: თანამედროვე დისკუსიები.*

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს პროგრამის შემაჯამებელ კომპონენტს, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს პროგრამის ფარგლებში შესწავლილი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით განახორციელონ დამოუკიდებელი კვლევა რეგიონის საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების საკითხებზე.

არჩევითი კურსები მოიცავს სხვადასხვა თემებს:

- *სამხედრო სტრატეგია და კამპანიის დაგეგმვა;*
- *ენერგეტიკული უსაფრთხოება;*
- *ევროკავშირის ინტეგრაცია;*
- *საჯარო ფინანსები და უსაფრთხოების სექტორი;*
- *პოლიტიკური ისლამი და თანამედროვე მსოფლიო;*
- *ეთნიკური უმცირესობები და სახელმწიფო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში;*
- *საქართველო - ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები;*
- *ინტერესთა ჯგუფები და ლობირება.*

მიუხედავად იმისა, რომ შინაარსში ასახულია თემატური შესაბამისობა და რეგიონული სპეციფიკა, არსებობს მნიშვნელოვანი სტრუქტურული ხარვეზი: სასწავლო გეგმა არ მოიცავს შედარებითი პოლიტიკის მეცნიერების ფუნდამენტურ მოდულს. აღნიშნული ზღუდავს სტუდენტების უნარს, ანალიტიკურად განმარტონ შიდა პოლიტიკური ცვლადები, რაც წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველს. მიუხედავად იმისა, რომ "აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემების" კურსი ეხება მმართველობას, ის არ მოიცავს საარჩევნო სისტემების, პარტიული დინამიკის ან პოლიტიკური რეჟიმების სახეების ყოვლისმომცველ თეორიებს.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ არჩევით მოდულს, მიუხედავად თემატიკის მრავალფეროვნებისა, აკლია ლოგიკურობა დაჯგუფების ან პრიორიტეტის მინიჭების თვალსაზრისით. აღნიშნულმა შეიძლება ხელი შეუშალოს სტუდენტების მიერ თანაბარი სპეციალიზაციის მიმართულებების შერჩევის შესაძლებლობას (მაგალითად, დიპლომატიის მიმართულება, უსაფრთხოების სტრატეგიის მიმართულება, ევროკავშირის ინტეგრაციის ორიენტაცია).

პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია აღნიშნული სტანდარტის მოთხოვნებთან. მისი სტრუქტურა შეესაბამება მაგისტრატურის დონის სირთულეს და დატვირთვას. სასწავლო გეგმა მოიცავს შესაფერის და დროულ თემატიკას და ხელს უწყობს თეორიული საფუძვლებიდან გამოყენებით კვლევამდე გადასვლას. თუმცა, სასწავლო გეგმაში ძირითადი პოლიტიკური მეცნიერების მოდულის გამოტოვება ასუსტებს სტუდენტებში მაღალი დონის ანალიზის უნარის განვითარებას. გარდა ამისა, არჩევით კომპონენტში თემატიკის განაწილება, უზრუნველყოფდა პროგრამის მიზნებთან და სტუდენტების მიმართულებებთან სრულ შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სასწავლო გეგმა და კრედიტების განაწილების ცხრილები;

- კურსების სილაბუსები სწავლის შედეგებით და საკითხავი მასალის ჩამონათვალით;
- სასწავლო გეგმა რუკა, რომელში ასახულია პროგრამის სწავლის შედეგებთან კურსების კავშირი;
- ხარისხის უზრუნველყოფის და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის დოკუმენტები;
- პროგრამის სასწავლო გეგმა და კრედიტების განაწილების ცხრილები;
- ვიზიტის ფარგლებში აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებისას მიღებული უკუკავშირი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია კურსის "აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემების" გაუმჯობესება და გაძლიერება იმ თემების უფრო ღრმად გაშუქებით, როგორიცაა საარჩევნო და პარტიული სისტემები, რეჟიმის ტიპოლოგიები და სახელმწიფო სტრუქტურისა და მმართველობის ძირითადი თეორიული ჩარჩოები.
- სასურველია, არჩევით კომპონენტს დაემატოს თემების კლასტერი (მაგალითად, თავდაცვა და სტრატეგია, ევროპული ინტეგრაცია, პოლიტიკური ინსტიტუტები) მიმართულების მითითებით. აღნიშნული სტუდენტებს მისცემს მკაფიო მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ შეუსაბამონ არჩევითი კურსები კარიერულ მიზნებს და პროგრამის სწავლის შედეგებს.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	**x**	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების

მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სასწავლო კურსები კარგად არის შემუშავებული და ასახავს აკადემიურ სიმკაცრეს და პრაქტიკულ შესაბამისობას. თითოეული კურსის სილაბუსი მოიცავს მკაფიოდ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს, საკითხავი მასალის ჩამონათვალს და შეფასების ფორმებს. კურსები მოიცავს ისეთ თანამედროვე თემებს, როგორიცაა ჰიბრიდული ომი, კიბერუსაფრთხოება, რუსეთის საგარეო პოლიტიკა, ნატოსთან ურთიერთობები და რეგიონული კონფლიქტები. სწავლების მეთოდები მოიცავს ლექციებს, სემინარებს, ჯგუფურ დისკუსიებს, სიმულაციებს და პოლიტიკის წერის სავარჯიშოებს.

მიუხედავად იმისა, რომ კურსების უმეტესობა თემატურად კარგად არის დალაგებული, თეორიის საფუძვლების ხარჯზე ზედმეტი აქცენტი კეთდება გამოყენებით და რეგიონის შინაარსზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, პოლიტიკური მეცნიერების ძირითადი თეორიის ნაკლებობა ზღუდავს სტუდენტების სისტემური ანალიზის ჩარჩოების შექმნის უნარს. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსების უმეტესობა მოიცავს შესაბამის აკადემიურ ლიტერატურას და საერთაშორისო წყაროებს, ზოგიერთ სილაბუსს აკლია ფუნდამენტური ტექსტები ან შედარებითი თეორიები. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება ისეთ მოდულებს, როგორიცაა სტრატეგიული კომუნიკაცია და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა, რომლებიც ორიენტირებულია გამოყენებაზე და სასურველია მოიცავდეს უფრო ძლიერ კონცეპტუალურ საფუძველს.

პროგრამა ძირითადად შეესაბამება აღნიშნული სტანდარტის მოთხოვნებს. კურსები შემუშავებულია კომპეტენტურად და პასუხობს მიმდინარე პოლიტიკის დებატებს და რეგიონულ მოვლენებს. პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტაცია წარმოადგენს პროგრამის ძლიერ მხარეს. თუმცა, სასწავლო გეგმა მნიშვნელოვნად გაძლიერდებოდა შედარებითი პოლიტიკური მეცნიერების თეორიაზე ორიენტირებული კურსის დამატებით (იხილეთ 1.4 კომპონენტში წარმოდგენილი რეკომენდაცია). აღნიშნული გააძლიერებდა ანალიტიკურ სიღრმეს, რაც სტუდენტებს მოამზადებდა როგორც არა მხოლოდ პოლიტიკის შემქმნელებს, არამედ როგორც პოლიტიკის მეცნიერებსაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- კურსების სილაბუსები, მათ შორის კრედიტების რაოდენობა, დატვირთვა (საკონტაქტო / დამოუკიდებელი საათები), შეფასების მეთოდები და ლიტერატურა;
- კურსების სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობა;
- გასაუბრებები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	x	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე მიღების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება კანონმდებლობას და ლოგიკურად არის დაკავშირებული დარგობრივ მახასიათებლებთან. წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის შინაარსს, სწავლების დონეს, სწავლების ენას, შესაბამის აკადემიურ ლიტერატურას და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

მიღების წინაპირობები უზრუნველყოფს, პროგრამაზე მხოლოდ საჭირო ცოდნის და კომპეტენციების მქონე კანდიდატების მიღებას. პროგრამაზე მისაღებად, კანდიდატმა უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდები, აჩვენოს ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე და გაიაროს უნივერსიტეტის შიდა გასაუბრება და სპეციალობის გამოცდა. უნივერსიტეტი გეგმავს ვებ - გვერდზე გამოაქვეყნოს შიდა გასაუბრების და სპეციალობის გამოცდის თემები განაცხადის წარდგენის ვადის ამოწურვამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი გათავისუფლდება ინგლისური ენის ტესტისგან, თუ წარადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე. უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს დაშვებული ინგლისური ენის სერტიფიკატების სია და მათი აღიარების კრიტერიუმები (FCE, IELTS, TOEFL PBT, TOEFL CBT, TOEFL IBT, VERSANT, CERTUS, PEARSON). კანდიდატები, რომლებმაც დაასრულეს ინგლისურენოვანი პროგრამის სულ მცირე ერთი სემესტრი, თავისუფლდებიან ინგლისური ენის გამოცდისგან.

დაწესებულების არსებული რესურსების საფუძველზე უნივერსიტეტი განსაზღვრავს პროგრამაზე მისაღები სტუდენტების მაქსიმალურ რაოდენობას. ამ მიზნით, უნივერსიტეტი ეყრდნობა თავის შიდა დოკუმენტებს, როგორიცაა: "საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი", "საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების პროცედურა" და "აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით". პროგრამაზე მიღების წინაპირობები სამართლიანი, გამჭვირვალე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- "საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების პროცედურა";
- "საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია";
- საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ვებ - გვერდი: https://www.sabauni.edu.ge;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**x**	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას. პროგრამის კურსები მიზნად ისახავს სტუდენტების კვლევითი და ტრანსფერული უნარების გაძლიერებას. პროგრამა მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტს. სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისას, სტუდენტებს ხელმძღვანელობენ დარგის კვალიფიციური სპეციალისტები. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სტუდენტების წვდომას აკადემიური კვლევის ჩასატარებლად აუცილებელ მასალებზე და ელექტრონულ რესურსებზე. სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ კვლევით პროექტებში. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოქვეყნონ თავიანთი ნაშრომები აკადემიურ ჟურნალებში და საკონფერენციო მასალებში. უნივერსიტეტი ასევე ხელს უწყობს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ერთობლივ კვლევით ინიციატივებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, შესრულების და შეფასების პროცედურა;
- მემორანდუმები;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობ აში მოთხოვნებ თან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებ ლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	x	☐	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება - სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში გამოყენებული სწავლება - სწავლის მეთოდები შეესაბამება მაგისტრატურის დონეს. აღნიშნული მეთოდები შეესაბამება კურსების შინაარსს და დაგეგმილ სწავლის შედეგებს და მიზნად ისახავს აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფას. სწავლება - სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია და ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროცესში სტუდენტების აქტიური მონაწილეობის წახალისებაზე. ისინი ასევე ხელს უწყობენ სტუდენტებს შორის კომუნიკაციას და თანამშრომლობას. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის შეიმუშავებს ინდივიდუალურ სწავლება - სწავლის მიდგომებს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას და რეგულარულად სთავაზობს ტრენინგებს და სემინარებს თანამედროვე სწავლების მეთოდოლოგიებთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	x	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტმა დაადგინა სტუდენტის შეფასების შინაგანაწესი და პროცედურები, რომლებიც ჯგუფმა განსაზღვრა, როგორც სამართლიანი, გამჭვირვალე, სანდო და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი. სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევები ფასდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დადგენილი შეფასების სისტემის მიხედვით, რომელიც არეგულირებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გამოთვლას.

თითოეული კურსი მოიცავს როგორც შუალედურ, ასევე დასკვნით შეფასებებს, რომელთა ერთობლივი ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (მაქსიმუმ 100 ქულა). ეს შეფასებები მოიცავს კონკრეტულ კომპონენტებს, რომელთაგან თითოეული შექმნილია სტუდენტის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შესაბამისი მეთოდებით შესაფასებლად. თითოეული კომპონენტის წონა განსაზღვრულია სილაბუსში და ეცნობება სტუდენტებს სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, კრიტერიუმებზე დაფუძნებული და თანხვედრაშია შესაბამის აკადემიურ სტანდარტებთან. იგი აერთიანებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება კურსის შინაარსს და მორგებულია საშუალო აკადემიური მოსწრების დონეზე. სისტემა ითვალისწინებს

როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე პრაქტიკულ უნარებს, იყენებს სამართლიან და თანმიმდევრულ კრიტერიუმებს, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის სილაბუსში ასახული რუბრიკებისა და შეფასების სკალების მეშვეობით.

ყველა ინფორმაცია შეფასების შესახებ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სწავლების მართვის ელექტრონული სისტემის (LMS) საშუალებით. სტუდენტებს შეუძლიათ გაეცნონ სილაბუსებს კურსის რეგისტრაციის დროს, თვალყური ადევნონ მიმდინარე შეფასებებს მთელი სემესტრის განმავლობაში და დროული უკუკავშირი მიიღონ ნებისმიერი აკადემიური საკითხების მოსაგვარებლად. . ინსტრუქტორები შეფასების შედეგებს ელექტრონულად აღრიცხავენ, რაც უზრუნველყოფს სიზუსტეს და ხილვადობას და ხელს უწყობს სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის ეფექტურ კომუნიკაციას.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის ოფიციალური პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც ნათლად განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებს და უზრუნველყოფს გამჭვირვალე, სტრუქტურირებულ პროცესს.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საბოლოო გამოცდის მსვლელობისას. სტუდენტები სრულად არიან ინფორმირებულები აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის შესახებ ინსტიტუციური დოკუმენტების მეშვეობით, მათ შორის პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესების, სტუდენტის ქცევის კოდექსისა და სამაგისტრო ნაშრომის სახელმძღვანელოს შესახებ.

პლაგიატის აღმოსაჩენის და მისი პრევენციის მიზნით უნივერსიტეტი იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფას - StrikePlagiarism.com,. პლატფორმა ახდენს სხვადასხვა მონაცემთა ბაზებსა და ონლაინ წყაროებში არსებული მსგავსი შინაარსის იდენტიფიცირებასა და გამოვლენას, რითაც უზრუნველყოფს წარდგენილი ნაშრომის ორიგინალობასა და აკადემიურ კეთილსინდისიერებას. დაცვამდე ყველა ნაშრომი ექვემდებარება ამ სისტემურ გადამოწმებას.

აკადემიური პერსონალი რეგულარულად გადის ტრენინგს თანამედროვე შეფასების პრაქტიკებში და უნივერისტეტი მხარს უჭერს მათი შეფასების კომპეტენციების უწყვეტ განვითარებას. უნივერსიტეტი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის ყოვლისმომცველ მექანიზმებს, მათ შორის სწავლებისა და სწავლის სემესტრულ შეფასებას. ძირითადი ელემენტია სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი, რომლის საფუძველზეც ხდება შემდგომ რეკომენდაციების შემუშავება ფაკულტეტების მიერ.. აღნიშნული მიგნებები მოხსენებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ ანგარიშებში და განიხილება აკადემიური საბჭოს მიერ, ეს უკანასკნელი აყალიბებს სამოქმედო გეგმებს ნებისმიერი გამოვლენილი საკითხის გადასაჭრელად.

შეფასების სისტემა ასევე მოიცავს მკაფიოდ განსაზღვრულ საგამოცდო აპელაციის პროცედურებს, რომლებიც წინასწარ ეცნობება სტუდენტებს. საბოლოო გამოცდის შედეგები ხელმისაწვდომი ხდება დასრულებისთანავე და დადგენილ ვადაში და ფორმატში სტუდენტებს აქვთ გასაჩივრების უფლება.

სწავლების მართვის ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს სტუდენტების სისტემატურ ინფორმირებას მათი აკადემიური მოსწრების შესახებ და ხელს უწყობს საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კორექტივების განხორციელებას ეს სტრუქტურირებული, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა უზრუნველყოფს სამართლიანობას, ანგარიშვალდებულებას და უწყვეტ აკადემიურ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;
- სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესები; პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესები;
- გასაუბრების შედეგები;
- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.4. სტუდენტის შეფასება:	**x**	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პროგრამას აქვს სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმების შესახებ შესაბამისი კონსულტაციისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობისთვის აუცილებელი მექანიზმები. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ მთლიანობაში, სტუდენტები და კურსდამთავრებულები კმაყოფილები არიან სტუდენტური სერვისებითა და უნივერსიტეტის მიერ გაწეული კონსულტაციებით. პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები ადასტურებს, რომ სტუდენტები იღებენ შესაბამის, ეფექტურ კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისგან. ინფორმაცია აკადემიური და მოწვეული პერსონალის საკონსულტაციო საათების შესახებ სტუდენტებს წინასწარ მიეწოდებათ.

უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მრავალფეროვან ექსტრაკურიკულურ საქმიანობაში ჩართვას, მათ შორის კონფერენციებში, პროექტებსა და ტრენინგებში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო მასშტაბით. ექსტრაკურიკულური ა აქტივობები მოიცავს საჯარო და საველე ლექციებს, ვებინარებს, ტურებს და შეხვედრებს დარგის სპეციალისტებთან და ა.შ. ამ აქტივობების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს მიეწოდებათ სხვადასხვა არხებით, მათ შორის კორპორატიული ელექტრონული ფოსტის, უნივერსიტეტის ვებგვერდის, ასევე უნივერსიტეტის ოფიციალური Facebook გვერდის საშუალებით.

უნივერსიტეტის სტუდენტურ საქმეთა მენეჯერი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტების კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის საქმეში, მიზნობრივი კონსულტაციებისა და კარიერაზე ორიენტირებული აქტივობების ორგანიზების მეშვეობით. ეს ინიციატივები შექმნილია ამჟამინდელი სტუდენტების პროფესიული ზრდისა და ასევე კურსდამთავრებულთა წარმატებული კარიერული წინსვლის ხელშეწყობისთვის.

შეთავაზებული სერვისები მოიცავს ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს, რომლებიც ორიენტირებულია კარიერის შექმნის პრაქტიკულ უნარებზე, როგორიცაა CV-ისა და სამოტივაციო წერილის დაწერა, გასაუბრებისთვის მომზადება, სარეკომენდაციო წერილების მიღება, ეფექტური კომუნიკაცია, დროის მართვა და საჯარო გამოსვლები. სტუდენტებისთვის ასევე ხელმისაწვდომია სამუშაოს ძიების ადგილობრივი და საერთაშორისო პლატფორმები, ასევე აქტივობები ახალგაზრდების ჩართულობისთვის, მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამები და საერთაშორისო მობილობა.

დასაქმების შესაძლებლობების მხარდასაჭერად უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებთან თანამშრომლობას. უნივერსიტეტს აქვს დამსაქმებელთა რეგულარულად განახლებად მონაცემთა ბაზა და სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს უზიარებს ინფორმაციას მიმდინარე ვაკანსიების შესახებ. აღნიშნული კომუნიკაციები მორგებულია სტუდენტების

ინდივიდუალურ ინტერესებსა და საჭიროებებზე, რაც ხელს უწყობს მათ პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას.

უწყვეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, სტუდენტები, მინიმუმ ორ კვირაში ერთხელ, იღებენ განახლებულ ინფორმაციას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით, რომლებიც მოიცავს ისეთ ღირებულ რესურსებს, როგორიცაა ონლაინ ტრენინგების, ვებინარების, ვირტუალური კურსების და თვითგანვითარების პლატფორმების ბმულები. გარდა ამისა, სტუდენტები იღებენ მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაგეგმონ და გამოიყენონ თავიანთი თავისუფალი დრო პროდუქტიულად უნარების გამაძლიერებელ აქტივობებში მონაწილეობით.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი აქტიურად უჭერს მხარს სტუდენტების პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას, მათზე მორგებული ინფორმაციის, კონსულტაციებისა და კარიერული განვითარების ინიციატივების საშალებით. სტუდენტები, მრავალფეროვანი არხების საშუალებით, რეგულარულად იღებენ ონლაინ ტრენინგებისა და უფასო კურსების ბმულებს, ასევე რჩევებს პროდუქტიულობის შესახებ.

დასაქმების უნარების გასაუმჯობესებლად, უნივერსიტეტი სთავაზობს სამთვიან შიდა სტაჟირების პროგრამას, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება მათი ინტერესის სფეროებში. კარგად განვითარებული სტუდენტური კლუბის სისტემა, ასევე ხელს უწყობს ლიდერობისა და პროექტების დაგეგმვის უნარების გამომუშავებას სემინარებისა და ინსტიტუციური მხარდაჭერის მეშვეობით,.

სტუდენტებისათვის შრომის ბაზრის შესაძლებლობებთან და ტენდენციებთან გასაცნობად უნივერსიტეტი თანამშრომლობს საუკეთესო დამსაქმებლებთან და მასპინძლობს ყოველწლიურ დასაქმების ფორუმს. დამსაქმებლები უზიარებენ დასაქმებისა და სტაჟირების შესაძლებლობებს, ხოლო სტუდენტები მონაწილეობენ ჯგუფურ ან პირად შეხვედრებში, საკუთარი კარიერული მზაობისა და პრეზენტაციის უნარების გასაუმჯობესებლად. სემესტრული საგრანტო კონკურსი სტუდენტებს პროექტების ინდივიდუალურად, გუნდურად ან ფაკულტეტთან ერთად განხორციელების საშუალებას აძლევს,. წინასწარი ტრენინგი სტუდენტებს საშუალებას აძლევს წერონ და ეფექტურად მართონ საპროექტო შეთავაზებები.

რეგულარული კვლევები და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების გამოკითხვები ხელს უწყობს საუნივერსიტეტო სერვისების სტუდენტების საჭიროებებზე მორგებას. გარდა ამისა, სტუდენტები მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებში, მათ შორის Erasmus+, ორმხრივ გაცვლებში და საზაფხულო/ზამთრის სკოლებში. მაგალითად, 2023-2025 სასწავლო წლებში10-ზე მეტი სტუდენტი შეუერთდა მობილობის პროგრამებს, უფრო მეტი კი დაგეგმილია მომავალი სემესტრებისთვის. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური სტუდენტებს ვებგვერდის, ელექტრონული ფოსტის, სოციალური მედიისა და სპეციალური Facebook ჯგუფის მეშვეობით აწვდის ინფორმაციას. მენეჯერი ასევე მასპინძლობს საინფორმაციო სესიებს, ინდივიდუალურ კონსულტაციებს უწევს და ეხმარება განაცხადის დოკუმენტების მომზადებაში.

უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა სტიპენდიის პოლიტიკა, რომლის მიზანია სტუდენტების მიღწევების, აკადემიური წარმატებებისა და განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა და წახალისება. თუმცა, გაირკვა, რომ სტუდენტებს ხშირად არ აქვთ შესაბამისად გაცნობიერებული არსებული სტიპენდიის შესაძლებლობები, მათ შორის ინფორმირებულობის ნაკლებობა შეინიშნება დაშვების კრიტერიუმების, განაცხადის პროცედურების, ვადების და შეთავაზებული ფინანსური მხარდაჭერის ტიპების მიმართულებით. კომუნიკაციის ამ ხარვეზმა შესაძლოა გამოიწვიოს, სტუდენტების მიერ იმ ღირებული ფინანსური დახმარების დაკარგვა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობდა

მათ ხელს აკადემიურ გზაზე. ამ საკითხის გადასაჭრელად აუცილებელია სტიპენდიასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხილვადობის გაზრდა იმგვარი აქტიური ღონისძიებების მეშვეობით, როგორიცაა საინფორმაციო სესიები, უნივერსიტეტის ვებგვერდზე მკაფიო და ხელმისაწვდომი სახელმძღვანელო მითითებები, ელექტრონული ფოსტითა და სოციალური მედიით რეგულარული განცხადებები, და პირდაპირი ჩართულობა სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
- სტიპენდიის მინიჭების წესი;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა გადადგას მიზანმიმართული ნაბიჯები არსებული სტიპენდიების პოლიტიკის შესახებ სტუდენტების ცნობიერების ასამაღლებლად. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია სტიპენდიების სტრუქტურირებული სისტემა, ხელმისაწვდომი და მკაფიო ინფორმაციის ნაკლებობამ ზღუდავს სტუდენტების ჩართულობას და ფინანსური მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობას.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	**x**	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია მკაფიო პროცედურები სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელების დანიშვნის, შეცვლისა და მოვალეობების შესახებ. სწავლის მეოთხე სემესტრში სტუდენტები ვალდებულნი არიან აირჩიონ როგორც სამაგისტრო ნაშრომის თემა, ისე ხელმძღვანელი .სამაგისტრო კვლევითი პროექტის ოფიციალური რეგისტრაციისას სტუდენტი ხელმძღვანელის არჩევასთან ერთად არეგისტრირებს სამაგისტრო ნაშრომის სათაურსაც.

მაგისტრანტის მიერ ხელმძღვანელის შეცვლის ლეგიტიმური საფუძველის შემთხვევაში აღნიშნული მოთხოვნა წარდგენილი უნდა იყოს სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის ვადამდე არაუგვიანეს სამი კვირით ადრე. ასეთი ცვლილების შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანსა და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს შორის შეთანხმების საფუძველზე ინიშნება ახალი ხელმძღვანელი.

როგორც წესი, თითოეული ხელმძღვანელი პასუხისმგებელია არაუმეტეს ხუთ მაგისტრანტ სტუდენტზე. თუმცა, გამონაკლისი სახით, დეკანთან და პროგრამის ხელმძღვანელთან წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში ხელმძღვანელი შეიძლება დაინიშნოს სტუდენტთა სხვადასხვა რაოდენობაზე ; ხელმძღვანელის სალექციო დატვირთვისა და სემესტრული საკონსულტაციო საათების გათვალისწინებით. გარდა ამისა, თითოეულ მაგისტრანტს შესაძლოა ჰყავდეს თანახელმძღვანელი და ორი მაგისტრანტი სტუდენტზე ხელმძღვანელობის დატვირთვა გაუტოლდეს ერთ სტუდენტზე ხელმძღვანელობის დატვირთვას .

ხელმძღვანელისაგან მოელიან კვლევის პროცესში სტუდენტთან რეგულარულ კონსულტაციებს. აღნიშნული კონსულტაციები აუცილებელია სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტისთვის სწორი მიმართულების მისაცემად, კვლევის ხარისხის უზრუნველსაყოფად და აკადემიური პროგრესის მონიტორინგისთვის. კონსულტაციების სიხშირე შეიძლება განსხვავდებოდეს პროგრამის ხასიათისა და კონკრეტული საკვლევი თემის მიხედვით, მაგრამ ზოგადად გულისხმობს ყოველკვირეულ შეხვედრებს მთელი სემესტრის განმავლობაში.

ამ კონსულტაციების დროს ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი სტუდენტს აწვდიან დეტალურ მითითებებს ნაშრომის სხვადასხვა ასპექტზე, როგორიცაა სტრუქტურირებული სადისერტაციო გეგმის შექმნა, შესაბამისი ლიტერატურისა და რესურსების შერჩევა, დარგის უახლესი მოვლენების განახლება და კვლევის ყველაზე ეფექტური მეთოდოლოგიების გამოყენება. ისინი ასევე სთავაზობენ მუდმივ უკუკავშირს, აფასებენ სტუდენტის პროგრესს და ერთობლივად აანალიზებენ ნაშრომის დასრულებულ მონაკვეთებს. საბოლოო ჯამში, ისინი ამზადებენ საბოლოო შეფასებას და დასკვნას სტუდენტის ნაშრომისთვის.

ხელმძღვანელთან რეგულარული კონსულტაციების გარდა, სტუდენტები პასუხისმგებელნი არიან დამოუკიდებლად იმუშაონ თავიანთ ნაშრომზე; რაც გულისხმობს სემესტრის განმავლობაში ნაშრომის მომზადებას, კვლევის დახვეწის მიზნით ხელმძღვანელთან თანამშრომლობას და საჯარო დაცვისთვის სამაგისტრო ნაშრომის მზაობას. ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი ასევე ხელს უწყობენ სტუდენტის მზადყოფნას მისი ნაშრომის საბოლოო ეტაპისთვის.

ფაკულტეტის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია მაგისტრანტი სტუდენტებისთვის ხელმძღვანელების გადანაწილებაზე და

საკონსულტაციო შეხვედრების დაგეგმვაზე. აღნიშნული შეხვედრები უზრუნველყოფს სტუდენტების მხარდაჭერას სამაგისტრო ნაშრომის წერის, განხილვისა და დაცვის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესები;
- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსები;
- გასაუბრების შედეგები;

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	**x**	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წინამდებარე აკადემიურ სამაგისტრო პროგრამას ახორციელებს კვალიფიციური აფილირებული და მოწვეული აკადემიური პერსონალი. მათ აქვთ აკადემიური, პრაქტიკული და მეთოდოლოგიური ცოდნა და გამოცდილება. კადრების მიღებასთან დაკავშირებული კონკურსის პროცესი გამჭვირვალეა, ნათლად არის ჩამოყალიბებული სამუშაოს აღწერის კრიტერიუმები. მოთხოვნები შეესაბამება საქართველოს საგანმანათლებლო რეგულაციებს. ადმინისტრაციული და პერსონალის სხვა წევრები შეირჩევიან კონკურსის ან პირდაპირი დანიშვნის გზით. მოწვეული ლექტორები უერთდებიან უნივერსიტეტს/პროგრამას კონკურსის ან დანიშვნის გზით. შერჩეულმა მონაწილეებმა უნდა დააკმაყოფილონ ოფიციალურად გაცხადებული კრიტერიუმები (პროფესიული ცოდნა, სასწავლო და კვლევითი გამოცდილება). ახალი კადრების მოწვევა და დანიშვნა ხდება დეკანის გადაწყვეტილებით და აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელის ან/და ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით. მეორე ეტაპზე მოწვეულ კანდიდატს განიხილავს ფაკულტეტის ადმინისტრაცია. თუ გადაწყვეტილება დადებითია, კანდიდატი დაქირავებულია. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამების მიხედვით განსაზღვრის მეთოდოლოგია განსაზღვრავს აფილირებული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობას სტუდენტების რაოდენობის მიხედვით. დოკუმენტის რაოდენობრივი ინდიკატორის (პუნქტი 5.5) საფუძველზე, პირობითად, 50 სტუდენტზე 3 პროფესორი უნდა დასაქმდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

a) 1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი / 1 ასისტენტი ან
b) 1 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი ან
c) 1 პროფესორი, 2 ასისტენტ - პროფესორი/2 ასისტენტი ან
d) 2 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი/1 ასისტენტი.

ამ დოკუმენტის 6.2 პუნქტის მიხედვით, აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს მინიმუმ ერთი პირობითი პროფესორის ერთეულით (პროფესორი, ასოცირებული, ასისტენტ-პროფესორი ან ასისტენტ) ყოველ დამატებით 17 სტუდენტზე.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[4]	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [5]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**23**	**23**	**12**	**8**
- პროფესორი	2	2	0	2
- ასოცირებული პროფესორი	10	10	10	10
- ასისტენტ–პროფესორი	3	3	3	3
- ასისტენტი	2	2	0	0
მოწვეული პერსონალი	13	13	12	–
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	–

უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სახელმძღვანელოში ნათქვამია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი უნდა ფლობდეს დოქტორის ხარისხს ან ექვივალენტ აკადემიურ ხარისხს ან/და პროფესიულ/პრაქტიკულ გამოცდილებას პროგრამის შესაბამის დარგში სწავლებისა და კვლევის გამოცდილებასთან ერთად. პროგრამის ხელმძღვანელმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი თავდაცვის სექტორში: საქართველოს შემთხვევა." აქვს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების 13 წლიანი გამოცდილება (ასწავლიდა შემდეგ კურსებს: თავდაცვის მენეჯმენტი, თავდაცვა და უსაფრთხოება, ფინანსური მენეჯმენტი, ბუღალტერია და ანგარიშგება საჯარო დაწესებულებებში, სახელმწიფო შესყიდვების ადმინისტრაცია და საჯარო დაწესებულებებში ჩანაწერების მართვა). მას 2 წლის განმავლობაში ეკავა მკვლევარის თანამდებობა საქართველოს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში, მუშაობდა სამეცნიერო კვლევით პროექტზე „ტოტალური (ყოვლისმომცველი) თავდაცვა, როგორც საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სტაბილურობის განმსაზღვრელი ფაქტორი“. პროგრამის ხელმძღვანელის პრაქტიკულ-პროფესიული გამოცდილება ეფუძნება საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გატარებულ წლებს. დღესდღეობით იგი აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობს. ბოლო სამი წლის განმავლობაში მან საერთაშორისო და ადგილობრივ ჟურნალებში 12 სტატია გამოაქვეყნა.

ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნებულია, რომ სასარგებლო იქნება სასწავლო პერსონალის შემდგომი ფოკუსირება პროგრამის სფეროზე. ამასთან დაკავშირებით ორი რჩევა არის გაცემული. პირველი, სასწავლო პერსონალმა უნდა განავითაროს უფრო ძლიერი აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილება აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის მიმართულებით. მეორე, პროგრამის ეფექტური განვითარების უზრუნველსაყოფად, კურსების განმახორციელებელი პერსონალი ან მოწვეული პერსონალი უნდა

[4] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[5]ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე
პერსონალი

ფლობდეს დოქტორის ხარისხს, იყოს დოქტორანტი ან სულ მცირე დარგის ექსპერტი. (მაგ., ტერორიზმისა და კონტრტერორიზმის კურსი ტარდება ფილოლოგიის მაგისტრის მიერ).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- რაოდენობრივი ინფორმაცია აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ;
- საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- კონკურსის დებულება აკადემიური თანამდებობების მოსაპოვებლად/შესანარჩუნებლად;
- აფილირების წესი;
- ორგანიზაციული სახელმძღვანელო;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის სილაბუსები;
- გასაუბრება უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- აკადემიურმა პერსონალმა უნდა განავითაროს უფრო ძლიერი აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილება აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის მიმართულებით.

- პროგრამის ეფექტური განვითარების უზრუნველსაყოფად, კურსების განმახორციელებელი პერსონალი ან მოწვეული პერსონალი უნდა ფლობდეს დოქტორის ხარისხს, იყოს დოქტორანტი ან სულ მცირე დარგის ექსპერტი.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.1. ადამიანური რესურსი	**x**	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი / თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა ახალია და პირველად იყო წარმოდგენილი აკრედიტაციის მისაღებად. გასაუბრებაზე მოწვეულნი იყვნენ პროფესორები სხვა სამაგისტრო პროგრამიდან (იურიდიული); შთაბეჭდილება საკმაოდ დადებითი იყო. აღსანიშნავია, რომ აფილირებულ პერსონალს და მოწვეულ ლექტორებს აქვთ პოტენციალი, გაუწიონ სტუდენტებს ზედამხედველობა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის და მოწვეული ლექტორების პირადი საქმეები;
- კურსების სილაბუსები – აკადემიური წერა, კვლევის დიზაინი.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	**x**	☐	☐	☐

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების პროცესი რეგულირდება უნივერსიტეტის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების პროცედურისა“ და „მეცნიერული კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასების და ხელშეწყობის წესის“ შესაბამისად. ისინი მოიცავს თვითშეფასებას და სტუდენტების უკუკავშირს (შეფასებას). სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ფასდება ასევე დისერტაციის ხელმძღვანელი.

ხარისხის მართვის დეპარტამენტი ახორციელებს შეფასებას და შედეგების ანალიზს. შეფასებულ პირებს ეძლევათ შესაბამისი რეკომენდაციები. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასება რეგულირდება „მეცნიერული კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასების და ხელშეწყობის წესი“-ს შესაბამისად,, რომელიც აკადემიური პერსონალისა და კვლევაზე ორიენტირებული ნაწილის ყოველწლიურ სამეცნიერო დატვირთვას ითვალისწინებს. ქვემოთ მოცემულია სამეცნიერო დატვირთვის მინიმალური მოცულობა:

- პროფესორი - 100 ქულა;
- ასოცირებული პროფესორი – 80 ქულა;
- ასისტენტ პროფესორი – 65 ქულა;
- ასისტენტი – 50 ქულა.

სასწავლო წლის შუა პერიოდში აკადემიური კვლევის დაგეგმვისა და განვითარების მენეჯერი ატარებს გამოკითხვას, აანალიზებს შედეგებს და ფაკულტეტებს და პრორექტორს ანგარიშს წარუდგენს საქმის ვითარებასთან დაკავშირებით სასწავლო წლის ბოლოს ანგარიში გაზიარებულია აკადემიურ პერსონალს შორის. ყოველწლიური ანგარიშების საფუძველზე დეპარტამენტი აცნობებს აკადემიურ საბჭოს, ფაკულტეტის დეკანებს და ადამიანური რესურსების დეპარტამენტ, რის შემდეგაც ადამიანური რესურსების დეპარტამენტის ხელმძღვანელი რეკომენდაციას უწევს შემდეგი ჯილდოების გაცემას:

- ერთჯერადი ფინანსური ბონუსი (პრემიის ოდენობა განისაზღვრება რექტორის ბრძანებულებით),
- მადლობის გამოცხადება,
- ჯილდო
- საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის პრიორიტეტის მინიჭება,
- პრიორიტეტის მინიჭება კონფერენციებისა და კვლევებისთვის დაფინანსების მისაღებად,
- პრიორიტეტის მინიჭება გამოცემისთვის დაფინანსების მისაღებად,
- სამეცნიერო-კვლევითი მოგზაურობის დაფინანსება.

ზემოაღნიშნული კვლევის წამახალისებელ ინსტრუმენტებთან ერთად მოქმედებს შემდეგი მექანიზმები:

- უნივერსიტეტი ავრცელებს ინფორმაციას საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევითი პროექტების შესახებ ელექტრონული ფოსტით, რათა გაზარდოს მისი აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და მეცნიერების ინფორმირებულობა პოტენციური კვლევითი პროექტებისა და მათში მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მუდმივად აწვდის აკადემიურ პერსონალს ინფორმაციას ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების შესახებ;
- გრანტების მოძიების მიზნით ხდება დაინტერესებული მხარეების კონსულტირება.

უნივერსიტეტი მუდმივ რეჟიმში ეძებს პროექტებს, გრანტებს და სხვა შესაძლებლობებს აკადემიური პერსონალის კვლევის ხელშეწყობისა და განვითარებისთვის. პარალელურად, თავად უნივერსიტეტი/ფაკულტეტი ცდილობს განავითაროს კვლევა ა) პროფესიული განვითარების პროგრამებით, ბ) მცირე საგრანტო კონკურსების გამოცხადებით, გ) უნივერსიტეტის პერსონალის შემოქმედებითი/აკადემიური შვებულებით. კანდიდატები შეირჩევა კონკურსის საფუძველზე; მონაწილეობის კრიტერიუმები გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი კონკურსანტისთვის.

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- შეფასების პროცესი და მის შედეგებზე დაფუძნებული კონკრეტული რეკომენდაციების გაცემა;
- საჭიროების შემთხვევაში ტრენინგების ჩატარება (მაგ. მეთოდოლოგია, პლაგიატი, ტექნოლოგიების გამოყენება და ა.შ.).
- როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო პროფესიონალების ჩართულობა.

საერთაშორისო პროექტებმა, კვლევითმა გრანტებმა და მობილურობამ ასევე უნდა წაახალისოს პერსონალის პროფესიული განვითარება. უნივერსიტეტის მხარდაჭერის პოლიტიკის თანახმად, აკადემიური პერსონალი წახალისებულია გამოაქვეყნოს ნაშრომები იმპაქტზემოქმედების ფაქტორების საერთაშორისო ჟურნალებში; ამას გარდა, რექტორის ბრძანებით გაიცემა ერთჯერადი პრემია აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო კვლევის/დატვირთვის წარმატებით დასრულებისთვის. სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა დააარსა „მიშელ მუსხელის ევროპული კვლევითი ცენტრი“ და „ფსიქოლოგიის კვლევის ცენტრი“. ორივე მხარს უჭერს აკადემიური პერსონალის კვლევის პრიორიტეტებსა და კვლევით პროცესებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასებისა და მხარდაჭერის წესი;
- პერსონალთან დაკავშირებული პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების პროცედურა;
- კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის გატარებული ღონისძიებები;
- გასაუბრება ხარისხის დეპარტამენტის და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან;
- ვებგვერდი www.sabauni.edu.ge

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**x**	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს აქვს შთამბეჭდავი, არც თუ ისე დიდი შენობა თბილისის ცენტრში. თუმცა, სტუდენტების რაოდენობის ყოველწლიური ზრდის გამო ადმინისტრაცია კამპუსისა და საერთო საცხოვრებლის აშენებას გეგმავს. საკლასო ოთახები აღჭურვილია თანამედროვე და კომფორტული მერხებით, მაგიდებით და სკამებით, ლექტორებისთვის განკუთვნილი ლეპტოპებით, დაფებითა და პროექტორებით. უნივერსიტეტს მფლობელობაში აქვს ბრაილის პრინტერი და სმარტ დაფა.

უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აღჭურვილია სტუდენტებისა და ლექტორებისთვის განკუთვნილი კომპიუტერული ტექნიკით, კონდიცირების, გათბობისა და ვენტილაციის სისტემებით. კომპიუტერული ლაბორატორია ემსახურება როგორც ლექტორებს, ასევე სტუდენტებს, მათი ინდივიდუალურად მუშაობის საჭიროების შემთხვევაში.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ხელსაყრელ პირობებს სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის (მაგ. ლიფტები, პანდუსები, სპეციალურად შექმნილი ტუალეტები).

ბიბლიოთეკას შეუძლია დაეხმაროს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს საჭირო რესურსებით, მათ შორის სახელმძღვანელოებით, მონოგრაფიებით და სხვადასხვა აკადემიური ჟურნალებით, ლექციების ეფექტურად ჩასატარებლად. გარდა აღნიშნულისა, ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო და ჯგუფური სასწავლო/სამუშაო ოთახი სტუდენტებისთვის/პერსონალისთვის მყუდრო და კომფორტული გარემოთი.

ბიბლიოთეკარები ამზადებენ მკითხველებს კურსებისთვის და საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევენ პერსონალს/სტუდენტებს. ელექტრონული კატალოგი, OPEN BIBLIO, ამარტივებს წიგნის ან ნებისმიერი სხვა ნაბეჭდი ასლის პოვნას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. წვდომა შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებგვერდიდან (sabaini.edu.ge). ელექტრონული რესურსები, როგორიცაა EBSCO, HeinOnline და Elsevier, ხელმისაწვდომია ყველასთვის უნივერსიტეტის შენობის შიგნით და მის გარეთ.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ხელსაყრელ პირობებს სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის (მაგ. ლიფტები, პანდუსები, სპეციალურად შექმნილი ტუალეტები).

კურსების ჩასატარებლად გამოიყენება სპეციალური ელექტრონული პლატფორმა (student.sabauni.edu.ge). ინფორმაცია საკითხავი მასალების, დავალებების, მოახლოებული ტესტირების ან გამოცდების და ქულების შესახებ ამ პლატფორმაზე იტვირთება. ბიბლიოთეკაში არსებული მრავალფუნქციური ქსეროქსი ბიბლიოთეკარებს საშუალებას აძლევს გადაიღონ ასლები ან დაასკანირონ დოკუმენტი სტუდენტის ან მასწავლებლის მოთხოვნის შესაბამისად.

პლაგიატის პრევენციის მიზნით გამოიყენება StraikePlagiarism.com, რექტორის მიერ ხელმოწერილ „პლაგიატის პრევენციის“ დოკუმენტთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის პარტნიორი საუნივერსიტეტო ქსელის წევრი, რაც ბიბლიოთეკარებს უმარტივებს, ლექტორებსა და სტუდენტებს ადგილობრივად არსებული ნებისმიერი აკადემიური წყაროს მიწოდებას. სასწავლო წლის დასაწყისში აკადემიური პერსონალის მოითხოვნისამებრ ბიბლიოთეკარები დეკანის თანხმობით იძენენ საჭირო წიგნებსა ან სხვა მასალებს.

აკადემიურ პერსონალს აქვს საკუთარი სამუშაო სივრცე, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით (სკამებით, მაგიდებით, კარადებით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით, მრავალფუნქციური ქსეროქსით) გაკვეთილების ღირსეულად მოსამზადებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის დათვალიერება - ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საკლასო ოთახები და ა.შ.
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დოკუმენტი;
- Student.sabauni.edu.ge;
- ვებგვერდი – sabauni.edu.ge;
- დოკუმენტი პლაგიატის შესახებ;
- გასაუბრება ბიბლიოთეკარებთან

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

4.4 მატერიალური რესურსი	x	☐	☐	☐

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება“ სამაგისტრო პროგრამის დაფინანსება, უპირველეს ყოვლისა, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ერთობლივი ბიუჯეტით იგეგმება. მიუხედავად იმისა, რომ დაფინანსების ნაწილი ჩარიცხული სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურიდან მოდის, ეს წარმოადგენს საერთო ფინანსური სტრუქტურის მხოლოდ ნაწილს. პროგრამის ბიუჯეტი განკუთვნილია ყოველწლიურად 15 სტუდენტის მოსაზიდად და მოიცავს ხარჯების ფართო სპექტრს, მათ შორის აკადემიური და მოწვეული აკადემიური პერსონალის ანაზღაურებას, ბიბლიოთეკის რესურსების შეძენას (როგორიცაა წიგნები, პერიოდული გამოცემები, ჟურნალები და ელექტრონული მონაცემთა ბაზები), აგრეთვე კონფერენციების, სემინარების, საჯარო ლექციების ორგანიზება და აკადემიური პირების მხარდაჭერა. ფინანსური გეგმის ფარგლებში ასევე აღირიცხება დამატებითი პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები. მისაღები სტუდენტის მკვეთრი შემცირების შემთხვევაში რისკები კარგად არის გააზრებული. პროგრამის მდგრადობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ფინანსური რესურსებით.

ინსტიტუციურ დონეზე საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება ცენტრალიზებულად იმართება, უნივერსიტეტის მთლიანი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების კატეგორიების შესაბამისად. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ პროგრამა ამოქმედდება იმისდა მიუხედავად, იქნება თუ არა პირველადი ჩარიცხვის რაოდენობა სრულად მიღწეული. ასეთ შემთხვევებში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობას მისი ცენტრალური ბიუჯეტიდან ასიგნებებით, რაც ხაზს უსვამს პროგრამის თანხვედრას უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტი;
- გასაუბრება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**x**	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემას ზედამხედველობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დებულების, ასევე შეფასების შედეგებისა და მათი გამოყენების წესის შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი მოიცავს სისტემურ შეფასებებს და უკუკავშირის მექანიზმებს, რომლებიც დაკავშირებულია აკადემიურ პროგრამებთან, ინსტიტუციურ სერვისებთან და ხელმისაწვდომ რესურსებთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწარმოებს როგორც სემესტრულ, ისე წლიურ გამოკითხვებს, ჩართული ჰყავს ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე შეფასების

მონაცემების ინტერპრეტაციაში, მიმდინარე აქტივობების მონიტორინგისთვის, სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრისა და განვითარების ტენდენციების იდენტიფიცირებისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვისა და აკრედიტაციის ვიზიტების შედეგების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროგრამის შეფასება რეგულარულად და თანმიმდევრულად ტარდება. უფრო მეტიც, შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება აკადემიური პროგრამების მუდმივი გაუმჯობესების მიზნით.

უნივერსიტეტი იყენებს PDCA (დაგეგმე–გააკეთე–შეამოწმე–იმოქმედე) ციკლს, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის საფუძველს. სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები აქტიურ როლს თამაშობენ შიდა შეფასებებში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს პროგრამის პერსონალთან, ხელს უწყობს მათ მონაწილეობას კონსტრუქციულ და რეფლექსიურ შეფასების პროცესში. როგორც ამ პროცესის ნაწილი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წვლილით, მუშავდება თვითშეფასების ანგარიში, თვითშეფასების მიმართ ამგვარი ერთობლივი მიდგომა და სამუშაო ჯგუფის ფარგლებში პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილება, ხელს უწყობს მომავალი განვითარების შესაძლებლობების გამოვლენას..

გარდა ამისა, შიდა ხარისხის უზრუნველყოფა აერთიანებს მიზანმიმართულ კვლევებს, რომლებიც შექმნილია ინსტიტუციური საჭიროებების შესაფასებლად და გაუმჯობესების ინიციატივების წარმოსადგენად. ეს მოიცავს საჭიროებაზე დაფუძნებულ შეფასებებს კონკრეტული გამოწვევების იდენტიფიცირებისთვის, სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების რეგულარულ გამოკითხვებთან ერთად, რომლებიც მიზნად ისახავს პროგრამის ადმინისტრირების ეფექტურობისა და სერვისების ხელმისაწვდომობის შეფასებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენება;
- საგანმანათლებლო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია
- შიდა ხარისხის შეფასების შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ჩატარებული გასაუბრება.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.1. შიდა ხარისხის შეფასება	x	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და აკრედიტაციის პროცესში სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი იყენებს გარე შეფასების მექანიზმებს, მათ შორის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობას. პროგრამის მომზადების პროცესის ფარგლებში, საერთაშორისო ექსპერტის მიერ ჩატარდა გარე მიმოხილვა.

დოკუმენტაციის ანალიზისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე დადასტურდა, რომ უცხოელმა შემფასებელმა წარმოადგინა ყოვლისმომცველი შეფასება, რომელსაც თან ახლდა კონსტრუქციული რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს პროგრამის ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლებას. გარდა ამისა, დაწესებულებამ მიიღო საფუძვლიანი შიდა შეფასების ანგარიში, რომელშიც მოცემულია ძირითადი მიგნებები და გაუმჯობესების სფეროები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გარე ექსპერტმა ხაზი გაუსვა პროგრამის შესაბამისობას, აკადემიურ ღირებულებას და შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნებთან და თანამედროვე გამოწვევებთან თანხვედრას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გარე შემფასებლის დასკვნები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- ჩატარებული გასაუბრება.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2. გარე ხარისხის შეფასება	x	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ტარდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, ასევე სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით. ეს პროცესი ეყრდნობა თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების სისტემატურ შეგროვებას, დამუშავებას და ანალიზს. პროგრამის შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი პროცედურები მოცემულია ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში და საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარებისა და გაუმჯობესების მეთოდოლოგიაში.

როგორც უკვე აღინიშნა კომპონენტ 5.1-ში, პროგრამის შეფასება ხორციელდება მთელი რიგი ინდიკატორების გამოყენებით, მათ შორის არის აკადემიური მოსწრების მეტრიკა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები და პროგრამაზე მოთხოვნა. გარდა ამისა, დაინტერესებული მხარეების მოლოდინები და აღქმები ფასდება სტრუქტურირებული უკუკავშირის მექანიზმებისა და სტატისტიკური მონაცემების სისტემატური ანალიზის მეშვეობით. ხარვეზების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის მიზნით შეფასების ეს ინსტრუმენტები გამოიყენება, როგორც კურიკულუმის შემუშავების, ასევე განხორციელების ფაზებში.

გარდა ამისა, აკადემიური პროგრამები პერიოდულად ფასდება დარგის დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ, რაც ქმნის ობიექტურ პერსპექტივას შეფასების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების ყველა ეტაპზე მიღებული დასკვნები გაზიარებულია და გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ყველა შესაბამისი აქტორის მიერ, რაც ხელს უწყობს ინსტიტუციური გადაწყვეტილებების მიღებისა და უწყვეტი გაუმჯობესების პროცესს.

უნივერსიტეტი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისა და აკადემიური მოსწრების შეფასებაზე. ეს ფორმალურად პერსონალის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის შეფასების დოკუმენტით რეგულირდება, რომელიც შეფასების პროცედურებსა და კრიტერიუმებს ადგენს. აკადემიურ პერსონალს მოეთხოვება წლიური ანგარიშის წარდგენა, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი მათი სასწავლო, აკადემიური და კვლევითი საქმიანობა. ამ ანგარიშის საფუძველზე გამოითვლება შესრულების რეიტინგი. აკადემიური პერსონალი ასევე წარადგენს თვითშეფასების ანგარიშს.

მიზანშეწონილია, რომ პროფესიული განვითარებისა და აკადემიური მოსწრების შეფასების შედეგებს თან ახლდეს შესაბამისი წამახალისებელი მექანიზმები აკადემიური პერსონალის შემდგომი მოტივაციისთვის.

სამაგისტრო პროგრამის განვითარების პროცესის ფარგლებში, ჩატარდა შრომის ბაზრის ანალიზი. აღნიშნული მოიცავდა შედარებით ბენჩმარკინგს მსგავს პროგრამებთან როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ინსტიტუტებში და მიღებული შედეგები ინტეგრირებული იქნა პროგრამის დიზაინში შესაბამისობისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მონიტორინგის შედეგები და პროგრამის პერიოდული შეფასება;
- კურსის შესაფასებლად განხორციელებული აქტივობები;
- დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვების შედეგები;
- ჩატარებული გასაუბრება.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	x	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება, მაგისტრი

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	x	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x	☐	☐	☐